



თეატრი და სსოპრებმა



ბათუმის სალიტერატურო ცენტრის მიერ გამოსული

№ 46—1916
კვირა, 13 გიორგ.

ქურნალი „თეატრი და სსოპრებმა“
წლიურად 5 მ., ნახევარი წლით 3 მ. გაწერა შეიძლე-
ბა ფოსტით: თიფლისი, რედ. „თეატრი და ცხოვრება“
Исо. Имедашვილი. პირისპირ: „სორაპნი“-ს სტამბაში

ფულ. ზომთზე ფახი
გამოცემისა 15 კ.

5869



† შენრის სენკევიჩი
(იხ. ამავე ნომერში წერილი „ერის მო-
ციკული პენრის სენკევიჩი“)



გიორგოზისთვის 13

ვინ უნდა უპატრონოს საქმეს!

ძლივს ნავსი სტყდება! ქართ. ღრამ. საზ-ის გამგეობებს გადაუწყვე-

ტია, ამ თვის 21 მოიწვიოს საზოგადო კრება,—ეს ერთი, მეორეც—ქართულ თეატრის საალმშენებლო კომიტეტს განუზრახავს კრება მოახდინოს და ფულის მოკრებას შეუდგესო.

ეს ორივე აშბავი დიდათ საყურადღებოა: ჩვენი საზოგადოების მოვალეობაა ორივეს ხალისით და სიყვარულით მოეპყრას.

მოუტყლელობა, უნარის გამოუჩინელობა, უმოქმედობა უარყოფილ უნდა იქმნეს და თეატრის საქმე ჩვენის ქვეყნისთვის სანატრელ პირობებში უნდა მოვაქციოთ.

დღეს ჩვენი თეატრი საცალკებო, სამადლო ანუ საგერო აღარ უნდა იყოს. გასტრალიორი მოღვაწე ანუ მოუტყლელი, მრავალი საქმით დატვირთული კაცი, უკვე დავრწმუნდით, ამ საქმეში ვერ გამოადგება.

რეპერტუარი, დასი, წესიერი წარმოდგენები, ხელოვნების ახალ-ახალი ნაბიჯები და სხ. ეგოდენად ცოცხალი საქმეა, ეგოდენად რთული და მრავალფერადი, რომ მისი ხამუშ-ხამუშად შეკეთება-შეკოწიწება არ გამოდგება. მუდმივი მარჯვე ხელი, ფხიზელი გონება და ცქვიტი თვალები—აი, ვინ უნდა დასტრიალებდეს მას თავს.

ცხოვრება გვიკარანახებს, რომ ამ საქმის წარმოების არსებული წესი—სისტემა მართველობისა—შეეცვალოთ და ახალ საფუძველზე დავამყაროთ, თორემ დღეს თუ ივანეს მაგიერ პეტრეს ჩავაყენებთ, ძველ წესს კი შევანარჩუნებთ—ისევე სავალალო მდგომარეობის მოწმენი შევიქმნებთ.

ჩვენი თეატრის მესვეური ბიზრაკრატიკი არ უნდა იყოს, მინდობილ მოვალეობის ფორმალურად აღმსრულელი, არამედ თვით შეოქმედი, თაოსანი და ყოველ დაბრკოლებაში ახალ გზათა ნიჭიერად, მოხერხებით გამოიმკებნი...

ვინ არის ისეთი, დღევანდელ გამგეობის რომელისამე წევრს წუნი დასდოს და ქვეყნის უანგარო შეილად, ულ წუფელ და ჩვენი წინმსვლელობის მონატრე აღამიანად არ ჩავალოს?

მაგრამ... მაგარიც ის არის, რომ საქმის წინ წასაწევად მარტო ნატყრა არა კმარა, არამედ საქირთა საქმეც! და თითოეული მათგანი-კი თავის კერძო საქმით ისეა დატვირთული, ანუ სხვა და სხვა საზოგადო საქმეში ჩაბმული, რომ ამ საქმისთვის ისე ვეღარ უმოქმედნია, როგორც საქირთა; ანდა—არსებულ წესის გამო ერთი მეორეზე ავდებს საქმეს, ერთს უმეოროდ ნაბიჯი ვერ გადუდგავს—კოლეგია გახლავსო, ყველა ვართ მოპასუხეო და საქმე-კი უძრავადაა...

ქართ. ღრამ. საზ-ის მოშაგალობა საზოგადო კრებამ ამ გარემოებას ბეჯითი ყურადღება უნდა მიაქციოს და, როგორც უკვე წინადაც აღვნიშნეთ, თეატრის და, საზოგადოდ, დრამატიულ საზოგადოების საქმეთა მწარმოებლად ერთი კაცი მოიწვიოს საზოგადო კრების ნდობით აღჭურვილი, რომელიც თავში ერთხელ-ორჯელ, ანუ საქირთების დროს გამგეობას წარუდგენს თვისი ნამოქმედარის ანგარიშს...

დაე, ასეთ პასუხისმგებელსა და საკუთრივ ამ საქმეზე მიჩენილ კაცს ჯამაგირიც გაუჩინონ,—ამითი საზ-ბა არას წააგებს.

წავიდა ის დრო, საქმის გაკეთებას მუქტი მუშებით რომ ფქრობდენ, ანუ ამა თუ იმ „ცნობილს“ კაცს ყოველივე საზოგადო დაწესებულებაში ჩარევდენ და მინდობილ საქმის გამოცოცხლებას ხალხის ძალთა ამოძრავებით-კი არა ცდილობდენ, არამედ ბრწყინვალე გვამთა ანუ უმაღლეს პირთა სასახლეებში უკანა კარით შესვლით:—ხომ დავინახეთ, ვერც მუქტი მუშა გამოგვადგა, ვერც მრავალ საქმით დატვირთული.

ცხოვრება გართულდა, გამრავალფერდა; ყოველი დარგი ჩვენის კულტურულ წინსვლისა თავისს საკუთარ კაცს გვთხოვს და ჩვენც ასეთი კაცი უნდა მოვუძებნოთ ჩვენს თეატრს, მის დამხმარე გამგეობითურ.*)

როგორ უნდა ამოქმედდეს თეატრის ასაგებად ფულის შემკრები კომიტეტი?—ამაზე შემდეგ.

*) წერილი უკვე აწყობილი და დასაბეჭდათ გამზადებული გვქონდა, როდესაც ვახ. „საქარველოში“ (№ 250) თითქმის ასეთივე წერილი დაიბეჭდა ბ-ნ ვ. ლელიანისა.) პატივცემულ ვ. ლელიანიც სწორედ ამასვე მოითხოვს ავტ.

ვოთლები

ვმისობთ... ვიშლებით . ვციგლიგობთ.. ვიცინით..

ზამთრდება, ვყვითლდებით.. რტოს ვწყდებით ქვითინით...

რტოცბზე დავრზივართ.. ვმდერით და ვშრილობთ..

ვნიობთ, დავვიყოობთ.. მოლხენით ვცქრილობთ .

ზამთრდება.. ვცვივდებით. ცრემლებით ვწყრილობთ..

ჭაერში ყარობად.. დავქრივართ.. ვტრილობთ..

სად ქარი დავგვფლეთავს.. უბედურთ,, ეულებს..

და სადმე ხევ-ხუფში დაჭულავს ჩვენს სხეულებს..

სად ღვარი წავგვიღებს.. ბედით დაწყევლებს..

ულონო... უბედურ... განწირულ სხეულებს..

ვმისობთ: ვიშლებით.. ვციგლიგობთ.. ვიცინით..

ზამთრდება—ვკვდებით და მივდივართ ქვითინით! .

ილ. მოსაშვილი

კ რ ი ტ ი კ უ ლ ი შ ე ც თ რ მ ე ბ ი

„გენიოსები“ და „მეფეები“

დაწმუნებული ვარ, ახლამომავალში (რამდენიმე ათი წელი კანცობრიობის ცხოვრებაში დიდ მანძილს არ შეადგენს) ჭეშმარიტი, მიუდგომელი კრიტიკა „ღირებულებათა ხელახალ შეფასებას“ მოახდენს—და მაშინ ბევრი დღე-ღანდელი მგოსან-მწერალი, გენიოსთა აღსარებუ-ლი, მეორისა და მესამე ხარისხის საფეხურზე ჩამობანდება; ზოგიც, დღეს აბუხათ ავადმუდი და წვედიადით გარემოცული, დღის სინათლესა და მზის სითვას ეღივება... ასე უფიქროს წინათ—და ასე იქნება დღესაც, ასე უფიქროს სხვა ქვეყნებშიც—და ასე იქნება ჩვენშიც. თანამედროვე კრიტიკა ან ვერ მსჯელობს, ან არ მსჯელობს სწორათ და მიუდგომლათ—შეტადრე ჩვენში, სადა დღეს საკუთარი შეგნება იშვიათია და თითქმის ვუგა იმას იმეორებს, რაც რამდენიმე სახელთან ჰირფუნებას რაიმე მიზეზით წამოცთენია...

აქამო-და ილიამ ვაჟა-ფშაველასზე წარმოსთქვა: „აკაკი, მე და შენ ფას ვაჟა-ფშაველას შემდეგო“—და იმ დღიდან კრიტიკოსებიც და შეტადრე ისინი, ვინაც თითქმის სრულიად ვერ იცნობს ამ მწერალს, ბრძით იმეორებენ: „მგოსანთა მეფე ვაჟა! გენიოსი მგოსანიო!“—და სხვ. დმერთო ჩემო! ისე გახსნიერეს ტერმინის „გენიოსის“ ძახილი, რომ ღამის ნახევარი სა-

ქართველო გენიოსებათ მონათლან!.. ისე გაცვი-ჭედეს უური ამ გენიოსობის უფრიდით, რომ ვგონებ უკვე დაეკარგა მას ფასი... ტყუილათ-კი არა სთქვა შოთა რუსთველმა, ამ მართლაც გენიოსმა: „და რა ტურფა გაიფუდეს, აღარა დიან არც ჩირაღ“-ო!

დღემდი, ჩემის ღრმა რწმენით, ერთადერთი გენიოსი გვეყავს—და ეს გენიოსი შოთა რუსთველია! ბედს მადლობა შევსწირთ, რომ ჩვენდა მანათობლათ ეს ერთი გენიოსი გაცვი-ნია—და ვიკმარათ... ვიკმარათ, თვარა, თუ ასე გავამრავლეთ—რასაკვირველია უსაფუძვლოთ—გენიოსები, მაშინ დიდებულ შოთასაც თვისი ღირებულება დაეკარგება.

გას. „საქართველოში“ (1915 წლის 18 ნოემბრის ნუმერში) ფელეტონის ავტორი უავირგენო მეფე-მგოსნებსე თუ დაგვირგვინებულსა და დასავირგვინებულს ქართველ მგოსნებსე მოგვითხრობს. დაგვირგვინებულ მეფე-მგოსნებათ საქართველოში მას მიანია: შოთა, მეკე... უფემანობს ილიანსა და აკაკის შოკრის.. უფემანობს, მაგრამ მაინც მალე სწუფეტს საკითხს აკაკის სასარგებლოთ—და აკაკის შემდეგ მეფობას ვაჟა-ფშაველას უბოძებს და ბძანებს; „ვაჟას თავსე დიდხანს არ ჭქონია გვირგვინი; მისი ბედი თითქმის მიავაგვს ქართველ მეფეთა ბედს, რომელთა-



თავზე გვირგვინი დიდხანს არ იცდიდა... მან ბრძანებდა იმერეთის მეფეთა შთამომავლობით სიამში მოხსენებულ ვიშნეში ათზე მეტმა წელიწადზე ნაკლები იმეფეს. მაგრამ ვინ გაბედვას სთქვას, რომ ვაჟის ემძიმა სამეფო გვირგვინი...?

აი სითამამე კერძოაფინისმცემელისა, რომელსაც გარეშე თავისი კერძებისა არაფინს სწამს!.. თუ გაბედვას ვიტყვით, გაბედვას დიდი არაფერი უნდა—და ეს თვით სევეით მოხსენებულმა მეფეებზედაც დაამტკიცა: იგი ბედავს და გვირგვინებს ურიტებს ძველ მტკიცებს და უმზადებს ხსლებს! მეტი გაბედვას იქნება?!

„გვირგვინისნობა“ თუ იმ საფუძვლით სწავს ბ. მეფეებზედაც, რომ ბრძამ დაიდრასლას: „Vive le roi! მეფეს გაუმარჯოს!“ შაშინ, რასაკვირველია, მეფე-მტკიცის მრავალი უფიქრად ჩვენში და მრავალი დღესაც... მაგრამ სევეით მოყვანილი მისივე მტკიცითი დამახასიათებელია ამგვარი მეფეებისა: იმერეთის ვიშნეში ათზე მეტმა წელიწადზე ნაკლები იმეფეს! სწორეთ ეს არის საქმე: ვინ არის დირსი, რომ შუღვი იმეფოს... უფიქრად შემთხვევაში—ხანგრძლივით მანდა, თვარა ვაშის ძახილით ვისივე გამოეფება არც ისე ძნელი საქმეა... უკვდავ მეფე-მტკიცისათ კი ჩვენ დღემდე მხოლოდ შოთა შიგვანია, და თუ კერძოაფინისმცემელთათვის აუცილებელია, უთუთ ვინმე ტახტზე წამოსაკუბონ, ეს მანდა ინებონ, რომ სხვისი აზრით დაშვილებით მოხმინონ და ნურავინ აშინებენ მეტი-წრული ფრანკი: „ვინ გაბედვას?!”

მე მტკიცისა, რომ დირსული მფიფე პოეზიაში იშვიათად იბადება—და განვითარებული შიკოხეული გერ მოათხარეს—ტახტზე უთუთ იჭადეს ვინმე და გარს ეხვევდნენ და უელოდნენ: „Vive le roi!—მეფეს გაუმარჯოს!“ . არა თუ პოეზიაში, ნამდვილს მოქალაქეობრივ ცხოვრებაშიც ხშირათ ტახტი ცარიელი უფიქრად და ქვეყანა არ დაქტეულა, და რასაკვირვებელია—უთუოდ წამოყვასკუპოთ დიდების ტახტზე იმისთანა, რომელიც ამის დირსი არ არის?!.. დღეს უკვლასათვის ცხადია, რომ არც შოთაში და არც შოთას შემდეგ რამდენიმე საუკუნის მანძილზე ჩვენს პოეზიაში „მეფე“ არა უფიქრად, და დღეს კი, ერთი საუკუნის განმავლობაში,

უთუთ სწავლიათ—რამდენიმე მეფე დანდნ ტახტზე!.. ბ-ნი მეფეებზედაც იმასაც ნანობს, რომ აკაკის შემდეგ ცოტა ხნით ტახტი ცარიელი რჩებოდა—და ხსლო მომავალში ორს ჩვენს ასლებს და მტკიცის უმზადებს ტახტსა!..

„ვინ გაბედვას?!” მეტი გაბედვას—კიდევ იქნება?!

ჩვენი დირსი მტკიცის-მწერალთა შორის თუ გნებავთ მანდა და მანდა სამეფო ტახტზე არ ჩვენია მოხდინათ, ნება გვაბოძეთ—ილიასი და აკაკის უკანდილტურაა საფუძვლიანათ ავსწონდავსწონათ და მათ შორის უდირსეულითი გავამეფოთ... მაგრამ მხოლოდ მათ შორის! შემდეგ კი ტახტი ცარიელი უნდა დარჩეს, რადგან გვირგვინის დირსი უკვლავით არაფინს გვეკულება...

დასახელებულს ორ კანდიდატს შორის ტახტის დირსათ ილია შიგვანია—და ამის სხვათებსაც ქვევით მოგახსენებთ. ხალხი აქ უკრძალა ორი სიტყვით შიკოხელს ვამნა, რომ ჩემი არჩევანი ამ შემთხვევაში უფიქრად შიკოხელი ურთიერთობის გარეშე დგას.

არსადე ამ მტკიცისათ უსიამოვნო ურთიერთობა შექნდა სხვადასხვა ნიანდაგზე—და უფიქრად შემთხვევაში აკაკი მანდა მიუვარდა შესახვედრათ, შინაურ ცხოვრებაში. ილიამ აკაკიზე ბევრათ მეტათ მსწენის უკრძალა თავისი გასეთის იოვერისათ თანამშრომელთა საშვალბით (იხ. ჩემი „დასახელება“) და მეტე თავის საკუთარი უსამართლო და უსაფუძვლო გაკიცხვით, რომელიც მან „ფირსუას“-ს ფსევდონიმით გას. „იოვერისათ“ მიძღვნა და რომელიც მის თხსულებათა გამომცემლებმა (ბ. გუგუნიანიშვილმა და მისმა „კომისიამ“) ამ გამომცემთა მოქალაქეს—და ვერც-კი გრძობენ, რომ ამგვარის, პოლიტიკური ბრახიანობით გამომწვეული სტრიქონების დასაბუქლათ უკრძალა არ დაშვარა: ვანო მანბლის, აკაკის და სხვების (მე თუ გნებავთ, ანგარიშიში ნუ ჩამთვლით) გაკიცხვას იმ სანით, რომელიც ეს განსვენებულმა ილიამ იკადრა, შეურაცხყოფილია არა გაკიცხულთათვის, არამედ თვით ილიას სახელითათვის. ილიამ სიტყვებში თავისთავის სისიტყვით ჩასთვალა ამგვარი სტრიქონები—და ფსევდონიმის ამოფარა; ბ. გუგუნიანიშვილმა და კომისიამ კი ამოაქვეყნეს იგი, რათა შეურაცხუონ

(რასაკვირველია, უნებლიეთ) თვით ილიას სახელი..

დაახ, ილიამ უსამართლოთ მსწენია, მაგრამ შეფობის, ტახტის ღირსათ მაინც ის მიმანია, და ანა აკაკი.

სიყვანი.

დედის მოთქმა

სად მიხვალ შეილო, ჩემო იმედო, სიმწრით აღზრდილო სიღარიბეში, შენს მოხუც მშობლებს ვინ უბატრონოს, ვინა სცეს, შეილო, ტკბილი ნუგეში!

შენ შეგყურებდით. ჩვენი სიცოცხლე შენზეა, შეილო, დამყარებული, შენ შეგნატრიდენ შენი მშობლები, შენი იმედით გახარებული.

ახლა მიდიხარ... ვაიმე, შეილო! ნეტავ ვიცოდე სად რომელ მხარეს? ვაი, სიცოცხლეს ტანჯულს, წამებულს, ვაი, შენს დედას შენით მწუხარეს!..

სიო კალანდაძე

მ ა რ ო

იწვა მარო. ტიტველ მკერდზე ოქროს ჯვარს ათამაშებდა და მოცინარი თეთრ ჭერს გასცქერდა, ოდეს კარების ფარღალაღაში გახეთი შემოფრიალდა. გახარებული გაზეთისაკენ გაიქცა, საჩქაროდ გაშალა და ღრმა დაკვირვებით დაიწყო კითხვა:—

„25 აგვისტოს, ხანგრძლივი ომის შემდეგ, ჩვენმა სახელოვანმა ჯარმა სრულიად დაიპყრო მტრის სიმაგრენი და დიდი ზარალი მიაცენა. ჩვენის მხრით დაგვიტრეს სამი და მოგვიკლეს ერთი...“

— მხოლოდ ერთი!.. რა მცირე მსხვერპლია. ღმერთო, იყავ მფარველი ჩემი ვალიკოს!— გულმხურვალედ აღმოხდა მაროს უფლისადმი მიმართული ვედრება და ისევ გაზეთს მიმართა... ცოტა ხნის შემდეგ ისევ განიმეორა.

— ერთი მოკლეს!.. ისეთი დიდი ბრძო-

ლა და ასე მცირე მსხვერპლი: „სამი დასტრეს და ერთი მოკლესო“..—

— ველირსები, ველირსები ჩემი ვალიკოს შეხვედრას, ნატვრა ამისრულდება, მისთვის ტანჯული გავიხარებ და გავახარებ... ხომ ჩემო ვალიკო?! შეეკითხა სურათს, და კოცნის გვირგვით საყვარელ კმრის სახეზე უღრმესი სიყვარული ამოქარგა, მაგრად გულში ჩაიკრა და რამოდენიმე წუთს ნეტარების ბურანში დაჰყო.

— წავიდე, დედას ვახარო, საბრალო ისიც ძლიერ დარდობს,—სთქვა და პერიზის ამარამ დედის ოთახში კისკისით შეირბინა.

— დედი!

— რაა, შეილო!

— აბა, თუ მიხედები, რა უნდა ვახარო?

— ჩემს ხანში სადღაა, შეილო, მიხვედრა, მაგრამ თვალებზე გატყობ გაზეთს კარგი ამბავი მოუტანია, წამიკითხე მარო!

— არა, წაუკითხავად უნდა მიხედე!

— აღარ მიტრის ქკუა, შეილო!

— შეხე,—მარო სურათს აჩვენებს ვალიკოსას: ცოცხალი მყავს, ოცდა ხუთს აგვისტოს დიდ ომს უმსხვერპლოდ ჩაუვლია.

— მაინც რამდენი დახოცილა, მარო!

— რამდენი დააა... ერთი!!... ეხლა, ჩამეაონეე... დარბაისელმა მარიამმა ხელები გაშალა და ერთმანეთს ჩაეკონენ სიყვარულით აღსავსენი.

— დედი! უცერად შეეკითხა მშობლური აღერსით დამტკბარი მარო, კიდევ რამდენი დღეა ჩემს წასვლამდე?

— სამი, შეილო!

— ოხ! ვერ აგიწერ დედა, როგორ მართობს ფიქრი იმ წუთის შესახებ, როდესაც ერთი წლის უნახავს ვალიკოს შეხვედები.. ნეტავ, თუ კიდევ მოიძებნება ადამიანის ცხოვრებაში ამ წუთზე მალალი ბედნიერება. შენ დედა, მეთათსედაც ვერ წარმოიდგენ, თუ რა ხდება ჩემს გულში, როდესაც ფიქრით უკვე მიველი. ვიკითხე; მიმითითეს იმ ოთახშიაო, დავაკუნე და ვალიკოს ხმის მოლოდინში, გარინდებულს, მომესმა მისი ტკბილი ხმა, შევიტყერი და... არ ვიცო, დედა, არა, ვერ

აგეწერ. რასაც იმ დროს, წმიდა ოცნების დროს მე ვგრძნობ. .. ამას მთელი საუკუნე მოუწოდებოდი.

— შენ კი მოესწრები, შეილო, მის ნახვას, მაგრამ მე ვინ მაღირსებს, აქაც ძლივს დავბობლავ, — წარმოსთქვა გულასუყებულმა დედაბერმა და ჩასაკონებლად ხელები გაშალა, ოდეს ზარმა დაუწყენარებელი წკრილი მორთო. თითქო შეშლილნი, ერთმანეთს შეაშტერდნენ... დებემა მოიტანეს:

„25 აგვისტოს მოკლულს, ჩემს ვალიკოს გვამს მოვასვენებ. შენი ბიძა.“

— დედი!!! დედი!!! დედი!!! მხოლოდ ერთი მოუკვლავთ, მხოლოდ ერთი, დედი, მხოლოდ ვალიკო!!! დაიწვილა შეშლილივით მარამ და გულწასული დედის გულზე დაემხო.

გ. დათიაშვილი

შეცდომა

— პეტრე! შენ დღეს წისქვილში უნდა წახვიდე.

— არ წავალ.

— რატომ?!

— არ წავალ და იმიტომ...

— ახირებული კაცი ხარ, შეუბრალებელი. გულქვა...

— მე?!

— სწორედ ცოლშვილი სიმშლით გეხოცება და შენ კი...

— დაიხოცენ და იქ კი არ წავალ.

— ბოროტი ხარ, თავხედი და არა სიმედო ბირი!..

— ხა, ხა, ხა! მე? შენ კი?..

— მე დღეს ორჯელ ვიყავი, ორი ფუთი ფქვილი ამოვიტანე.

— მართლა?

— გეუბნები.

— მაშ შენ მოვიპარავს?

— რა?

— ფქვილი.

— ღმერთო ჩემო! ნუთუ ის შენი იყო? — ?!..

ა. ჭელიძე

აშუღობა

საიათნოვა (+1795) და აკაკი (1840—1915)

სამი წლის წინად გაგმართეთ სომეხთა პირველ მგონის საიათნოვას საღამო, იმას მეორე სწორსე-კი იმავე რიცხვებში გაგმართეთ აშუღობის საღამო დიდებულ მგონის აკაკი წერეთლის ხსოვნის პატივსაცემად. აი, რა ნამდვილად შედგამოქრდიო, მოხდენილი შედარება და მგზავსებაა ორ დიდებულ მგონის შორის:

ორივე ხალხის მონა და მსახურნი;

ორივე ხალხის სუფარეუნი;

ორივე ხალხის სულსა და გულში მსხდომანნი;

ორივე ხალხის ჭირისა და ღვინის მღერანნი!

რადესაც დიდებული მგონის აკაკი წერეთელი დაკრძალეს და ხალხი დაბრუნდა, მე და ჩემი საუკეთესო შეგირდი გიგო ერთად ღამნაკით მოვდიოდით. რასაკვირველია, ჩვენი ღამნაკი აკაკი წერეთელს ეხებოდა...

ცოტა სინუემის შემდეგ გიგომ უცბად დაიძახა: ოსტატო, შენი ჭირივე მაშ მადი მაც დიდებულ პოეტისთვისაც ერთი რამ მოგიკანე... ერთი საღამოც მაგის პატივსაცემად გაგმართათ...

მე გამოვივინა და დიმილით უთხარი: ბიჭო, ჩემს გულში იფქვი? რა იცოდი, თუ მეც მაგას ვფიქრობდი... უეჭველად მზად იქნება იმ მოკლე ხანში-მეთქი, — მიფუგე და ჩემს თავს ვუთხარი:

შაზირ, რაღას ფიქრობ და ვიღას ელადები, მოვალე ხარ ამ დიდებულ მგონისაც ემსახურე და პატივი სცე დირსეულად. მისი ზოგი ერთი საუკეთესო ლექსი გაღამებულ აშუღურ ჭანგებსა და ხმებზე, რომ უფრო გაგრძელდეს ხალხშია. და ხალხს დაანახო, რომ პატივცემული მგონისი, გარდა მაღალ ხანისხოვან პოეტობისა, სახალხო აშუღიც ეოფილა...

ეჰ, მაგრამ ამას რას ვამბობ — აკაკი და აშუღი?.. აშუღი სომ ჩვენი ხალხის დიდ ნაწილს რაღაც საზიზღარ, მაუკარებელ ანსებად მიანხია საზანდრებთან შედარებით. რასაკვირველია, საზანდრები ღამაზად არიან ჩაცმულნი, გარეგნობით მოსწონნი... და ჩვენი ხალხის დიდი ნაწილიც სომ ჩაცმა-დასურვასი, მორთულაბაში ხედავს ადამიანის დირსებას!..

მიუხედავად იმისა, რომ დღეს მთელს ევროპაში—განათლებულ ქვეყნებში ძველებურ აშულებს, ესე იგი შეფანტურებს, რომელნიც თავიანთი საკრავებით დადიოდნენ ხალხში, უკრავდნენ და მღეროდნენ ხალხის ტირისა და ღხინისა, მაღლა აყენებენ გიორგი-შილღურებსა და შექსნიანებზე, რადგან პირველი იყვნენ მეორეთა მანგენებელინი და ასტატნი, მტარებმა ადგისმავალითი პირველებისგან და ისწავლეს,—დაიდა, მიუხედავად ამისა, ხალხური აშუღობა-შეფანტურება, დღეს უუურავდებოდ არის შიტოვებული.

ვისაც არ უყვარს სწავლა, იმას არა ჭეკარებისა შეცნობება.

მეც ჩემ აშუღ ამხანაგებისაგან ვინწავლე ორ-მოდენა ათი წლის წინად, დაგდიოდით ხოლმე სოფლებსა და ქალაქებში...

რომელ ერთ მწერალს, რომელ ერთ მოძღვარს, რომელ ერთ ლექციას, რომელ ერთ მოქალაქეს შეეძლო ჩაკვანებისა ხალხისათვის ისა, რასაც ვატყობდით ჩვენ ჩვენის ტუბილი დაკვრით და მღერით.

აშუღებს დიდი როლი უთამაშნიათ ხალხში, ჩვენი ხალხი-კი თითქმის ყოველით შესტქერის აშუღებს.

რას ნიშნავს სიტყვა „აშუღი“ აშუღი არის არაშეი—სიმღერების და ხალხის მოტრფე და მოყვარე.

საიათნოვას არ იყო აშუღი: ის როდი მღეროდა სანუქრისა და ფულისთვის; ის მღეროდა სულისთვის, ტულისთვის და ხალხის სიყვარულისთვის. არც ჩვენი დიდებულო ბეჟეტრისტი ალექსანდრე ვახიბეგი იყო მწვემსი, მაგრამ გამწვემსდა ხალხისთვის, წამოიკიდა გუდა-ნაბადი, აიღო კომპაზი და შევიდა ხალხის მდგომარეობაში. აჭა კიდევ თქვენ ერთი აშუღი, როგორც

საიათნოვას ამბავს თავის ერთ ლექსში: ჩემი ჭიანჭური ხისგან არის. აიღო თავის ხის ჭიანჭური და მომართა სიმები... გაუჩინა თავის ლექსებს ხმები და ჭანგები, შევიდა ხალხში მის ჭიანჭურსა და ღხინის სიმღერადა.

როცა აკაკი წერეთელი გამოჩნდა, იმ ხანებში უკვე აშუღობა იღვევებოდა და ძველი უთმობდა ადგილს ახალსა,.. მგონის დიდი ტალანტი და ნიჭი დუღდა და გადმოდებოდა, როგორც ამოხეხნუხებული წყარო უშრეტელი... ნება არ მისცეს მგონის, რომ უურდილება მიექცივნა ზემოხსენებულ ხმებისა და ჭანგებისთვის.

ამით იძულებულმა დაიწყო წერა, გამოსტკრა, შეკერა და დაწყო ახარებელი ძვირ ფასი საუკეთესო ნივთები. მაგრამ საუბედროდ ვაჭარი არსაით სჩანდა, თუმცა კი გაზრეებში იბეჭდებოდა და წიგნაკადან გამოდიოდა, მაგრამ რა უნდა გაეწეოთ მავით: ჯერ ახლა რა გასაგალი აქვს ქართულ წერაკითხვას, რომ მაშინ რა ჭქონდა... ამ პატრონის ძვირფას ნივთებს კარგათ გამოცდილი და მტოდნე ვაჭრები სტირდათ... აი, ამგვარი ვაჭრებიც ჩემი შევირდები არიან—ჭაზიარას დიდება და პატრიო. მაგათ უნდა ააწეონ ჭანგებზე ეტ ძვირფასი ლექსები და გაავრტელონ ხალხშია. მე ჩემი ვალო შევასრულე, როგორც ძველმა აშუღმა; რავდენიმე ხმა და მწიტი შევურჩიე აკაკი წერეთლის ლექსებს, რომ დარჩეს ხალხში როგორც სიძველე. რაც შესება ახალს, მაგას ვაგაღებ ჩემს შევირდებსა, რომ რაც სხვა და სხვა თანამედროვე ჭანგები გაჩნდება, მათზე გადააკეთონ აკაკის და სხვა და სხვა საუკეთესო პოეტების ლექსებიც, იმდროს თავიანთ მშვენიერ კილოთი...

აჭა, უმთავრესი მიზეზი, რომლის გამოც გავმართეთ აშუღების სადამო დიდებულ მგონის სსოვნის პატრიოსტემლად

ჭაზიარა

ჩემს გულს.

ეპ. გულო, გულო!
 უბედურო ჩემო ზღვა-გულო!
 ვიცი გაღვლეებს შენი ქვეყნის ტანჯვა და პირო,—
 მაგრამ იყუჩე, ერის წყლულით დაწყლულებულო,
 არ დაიგმინო,—დაიწე ენა და პირო...

გ. ქუჩიშვილი



მგზავრი

(ძღენად ძაძუს)

მგზავრმა შემთხვევით ობოლ ხის კანზე რაღაც ანბნები დანით დასერა. არ ემჩნეოდა ხეს არაფერი გამგლეღმა მაშინ რაც დააწერა. ღრო გადიოდა, და ხე რაღაცას, გამოურკვეველს გრძნობდა თვის ტანზე, და ბოლოს ნათლად, წარწერა უტყვი ამოინაკვთა სათუთ ხის კანზე. აღმოჩნდა, რომ მგზავრს ზედ დაეწერა თავისი გვარი, თვისი სახელი, და დარჩა ხეზე წარწერა იგი მარად უცვლელი და წაუშლელი... შენც კარგო, თვალთა იღუმალ ცქერით, დინჯ საუბარით, უბრალო ქცევით, და მომხიბვლელი სულის სიწრფელით, სევდა დაკრული ღიმილის ფრქვევით, ჩემს ობოლ გულის ფერმკრთალ ფიცარზე რაღაც დასწერე, არ ვიცი კი - რა?.. და ებლა გულში ტკილ ტკივილებს ვგრძნობ, მოვნახე ჩანგი, ავიღე წკირა, და ვმღერი, ვმღერი ახალ სიმღერებს, დაუსრულებლად მწყურია მღერა, და ინაკვთება შეუმჩნეველად გულის ფიცარზე რაღაც წარწერა. გადის დრო—ჟამი და ის არაღაცაა ჩემში ფრთებს ისხამს და ძლიერდება, და ჯერ ნუ მკითხავ, თვით წაიკითხავ, როს სამუდამოთ გულს დააჩნდება.

ა. სინარულძე



შჩანარჩიკი

ერმალოზ (ხუტუნია) ბესარიონისძე კალანდარიშვილი

შოკლულია 1916 წ. მაისის 23 სოფ. კოლოდუბკოსთან ფოცხლ ბრძოლაში მამაკურად იერიში შიტანის დროს. დაჯილ. გიორგ. ჯვრით.

ერის მოციქული ჰენრიხ სენკევიჩი (1846—1916)

როდესაც პოლონეთს დამოუკიდებლობის რიქრამა აღმოუბრწყინა, და პოლონეთის მრავალ განაწამებ ხალხს თვით მოვლა-პატრონობის ბედმა გაუღიმა, სწორედ მაშინ დახუჭა თვალები ამ ქვეყნის აღდგენის მოციქულმა, ხალხის იღუმალ მისწრაფებათა უქქნობმა გამომთქმელმა, ჰენრიხ სენკევიჩმა.

მან გაიგო ღიღის ხნიდან ნანატრი ხმა— პოლონეთის სამეფო აღსვლა, ხოლო ამ დამოუკიდებელ, გააზატებულ სამშობლოში შესვლა ველარ ეღირსა და სამშობლოს გარედ, შვეიცარიის ქალაქ ვევში გიორგობისთვის 4 გარდაიცვალა, დაბადებიდან 70 წლისა.

იქნება ბედმან შეიბრალა, რომ თვალით არ ეხილნა დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად თვისი ქვეყნის ხელახალი წარდგნა, ისეთი წარდგნა, რომელიც ღიღის მხატვრობით აღსწერა თვის „წარდგნაში“?

ვინ იცის?

მაინც მშვიდად ვერ დაიკრიფა გულხელი: აწ განმითევე, უფალო, მონა შენი



† ფრანც იოსები (1830—1916)

ავსტრო-უნგრეთის იმპერატორი, ახლანდელი ომის დამწყები, გარდაიცვალა გიორგობისთვის 8, დაბადებიდან 86 წლისა. დაიბადდა 1830 წლიდან, სრულ 68 წ.

† დავით ვასილისძე ნიზნაშვილი ძველი „ივერიის“ თანამშრომელი, „ფშაურ ლექსების“, „შემკრები და სამოსამართლო ბოქაული მეოთხე განყოფილებისა, მოკლულ იქმნა ვერა-გულად გიორგობ. 5

კვლავ დაუბრუნდი

კვლავ დაუბრუნდი შენს წილებს ჩემო მაუშლო, გულის ცისკარო, მარად ეამსა ვარამნახულო; კიდევ ვიხილე შენი არე, ტურფად შემკული, კიდევ სიამით ამიძგერა შე შენს ძეს გული. რა რომ ვისმინე სანატრელი მტკერისა დუღუნი. უმალ ამომხდა ნესტიანი გულის ღიღინი; რა რომ გიხილე, შემოგცინა გულმა და გრძობამ, თვით გაგიხადა გზა და ხიდათ ჩემმა ოცნებამ. შენს ზღუდეთ შორის დანავარდობს ჩემი ფიქრები, გზას ვერ შემიცვლის ვერარაი, ასრე ვიქნები; შენის ტრფობითა აღგზნებული გინდ ზეცას ავალ, ვერ შემაშინებს ჯოჯოხეთი გინდ ქვესკნელს ჩავალ, ოლონდ შენ განახო კვლავ შედგარი, სულით ძრიელი, ოლონდ დაგეხსნას წაშების ჯვრით სვაფი ტიელი. გული შენსკენ ჰრბის, მინდა ზელი გამოგიწოდო, რომ ფეხზე დასდგე, ნაგმირალი გმირად იწოდო... ჩემთა მოზარეთ აუნთიათ ცეცხლის კოცონი. ბრძოლა ბრძოლას ითხოვს მამულისთვის, ოქროს უწონი. თუ რომ ვერ შევსძლო, დავიმარცხდე შეილი ერთგული, თავს დამჩხაოდეს შავ ბედითი სვაფი წყეული, ნ , ნუ დააფრქვევთ ჩემსა გვაშსა ცრემლისა ღვარსა, ნუ შემიმზადებთ ცხელ სალაყბოს საფლავის კარსა; მე ის არა მრწამს, სადაც საქმე არა კეთდება; სად საქმე რჩება უმნიშვნელოდ, სიტყვა კი კვდება; დაე, მოყასმა ვერ გამიგოს გულისა ძგერა, დაე, ვამკიცხოს, მის სიმართლე მე არა მჯერა. მე შემეცვარებს გულის სატრფო სულისა სწორი, მან უკვე იცის ჩემი ზრახვა, ვით ორჯელ ორი...

დ. ვაბტუაშვილი

ვინაიდან თვალთა ჩემთა იხილეს მაცხოვრება შენითა!—

არამედ როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, სიკვდილის წინა წუთებში სულთ ბრძოლაში ყოფილა: ცუდს დროსა ვკვდები, თავისუფალი პოლონეთი ვერა ვნახეო,—უთქვამს მწერალს.

ჰენრიხ სენკევიჩი დაიბადა ვოლია-ოჟეისკში 1846 წ. სწავლობდა ვარშავაში, განათლება შეისრულა „მთავარ უმაღლეს სკოლაში“. თითქმის სკოლიდანვე შუღლა მწერლობას, შემდეგ მოვლო ამერიკა და დასწერა მგზავრის შთაბეჭდილებანი, რითაც დიდი სახელი მოიხვეჭა. მთავარი ყურადღება მიაქცია თვის ერის მდგომარეობას, შეაგროვა დიდძალი ისტორიული მასალა, როგორც კერძოდ პოლონეთის, ისევე სხვა ერთა და დასწერა შესანიშნავი რომანები „ცეცხლითა და მახვილითა“, „ბატონი ვალოდიევსკი“, „წარღვნა“, „ხმლოსანი“, „პოლონელთა ოჯახი“, „ვიდრე ხვალ უფალო?“ და მრ. სხ. მოთხრობა, რითაც საყოველთაო, მსოფლიო ყურადღება მიიქცია, როგორც მაღალ ნიჭიერმა მწერალმა. მისი ნაწარმოებნი გადათარგმნილია ყველა კულტურისან ერის ენაზე, სხვათაშორის, ქართულ ენაზე გრ. ყიფშიძის მიერ საუცხოოდ თარგმნილია მისი „ცეცხლითა და მახვილითა“, „წარღვნა“, ი. სონდულაშვილის-მიერ „ნახშირით ნახატი“ და სხ. აკაკიმ, და აგრეთვე სხვათაც, სთარგმნეს მისივე რომანიდან სობოლჩიკოვ-სამარინის მიერ გადმოკეთებული პიესა „ვიდრე ხვალ უფალო?“

სენკევიჩის რომანები უმთავრესად ისტორიული შინაარსისაა; გასაოცარის მრავლფეროვანობით აღგვიწერს პოლონეთის ერის გამუდმებულს ბრძოლას დამოუკიდებლობისთვის. ყოველი მომქმედი პირი, ყოველი ჩირგვი, ყოველი მდინარე და კუთხე სამშობლო ქვეყნისა ისეთის ყურადღებითაა დაწერილი, რომ თვალწინ ცოცხლად წარმოგიდგენთ და თვით უხეშ—უარყოფით ამბავთა აღწერაშიც ამ ტანჯული ერისადმი უსაზღვრო სიყვარულ-თანაგრძნობას გიღვიძებთ. ეს რომანები არა თუ მხოლოდ წარსულის სურათებია, არამედ—მომავლის სარკეც. ამიტომაც იგი მწერალი შე-

იყვარა არა მხოლოდ მშობელმა პოლონეთის ერმა, არამედ მთელმა დაწინაურებულმა ქვეყნიერობამაც. ამ ხუთმეტოდე წლის წინააღ, როდესაც სახეიმა დღესასწაული გაუმართეს საყვარელ მწერალს, მთელმა ერმა მილიონად ღირებული ბინა-მამული უყიდა და საჩუქრად მიართვა.

თუ დღეს პოლონეთი დიდინა-პატარიანად ერთ ცნობიერ მთელს წარმოადგენს, თვისი ვინაობის მტკიცედ დამკველს, ამაში არა ნაკლები ღვაწლი მიუძღვის მის საყვარელ, უკვდავ ჰენრიხს.

ჩვენთვის, ქართველებისთვის ფრიალ სასურველია არა მხოლოდ მის ნაწერთა გადმოღება; არამედ მისი ყაიდის ქართველი მწერალიც; ჩვენის უამრი სისხლ-ძვლებით მორწყულ-მოკირწყლული მამულისა და მის ერთგულ შებრძოლ შევილთა თავგადასავლას დამსურათებელი...

ასეთი მწერლები არა მხოლოდ თვის ერთ ჰმოციქულობენ, არამედ სხვათაც.

ამიტომაც უკვდავი იქნება მისი ხსენება!

იოსებ არიმათიელი

ოჰიუ, ოჰიუ!

იქულებუნო

გაგრძელება იხ. „თ. და ც.“ № 45

ხმა სცენის ზევიდან გააღეთ, გააღეთ! გააღეთ!

დონ-იმან. (მთრთოვანად ხმით და შეკვებული ტრემულით) ჩემო ძვირფასო ძმებო! ძნელი და მწარე წუთი დაგვიდგა ახლა; ჩაუვარდით ხელში ინკვიზიციას, საიდანაც არა-გზით არ შეიძლება თავის დახწევა. მხოლოდ, თუ სასწაულით გადაურჩება კაცი იმ საშინელ ონავარი მხეცის კბილებს. ველოდეთ უფალს, რომ გვიხსნის ამ მწუხარებიდან, გვიხსნის მათ ხელიდან და უკანასკნელ წუთამდეც ვესაგოთ მას. მაგრამ ყოველ შემთხვევაში მზათ კი უნდა ვიყვნეთ ყოველგვარი უბედურების დასახვედრად, განვამტკიცოთ ჩვენი გული რწმენითა და უფლისადმი სიყვარულით, და მზათ ვიყვნეთ დავიხოცნეთ მისი სახელის სადიდებლად. ძნელი და აუტანელი ტანჯვა-მწუხარება მოგველის ახლა. სასტიკ და უღმობელ ინკვიზიციას აქვს ათასნაირი საშუალება კაცთ სატანჯველად და საწამებლად, რომელიც არავითარ კაცს არ ძალუძს აიტანოს. ჩემო ძვირფასო ძმებო! ნუ თუ მოიპოვება თქვენ შორის ისეთი ადამიანი, რომ ეშინოდეს წამებას, იმ დროს, როდესაც მას ახსოვს, რომ ის იტანჯება, რომ ის ტვირთულობს ყველა ამას ჩვენი ღმერთისა და ერის გულისთვის?

ყველა შეკრებილნი. არა, არა! ჩვენ ყველანი მზათ ვართ გავწიროთ თავი, ჩვენი ერისა და ღმერთის გულისათვის! ყველანი ყველანი!

ხმა სცენის ზევიდან. გააღეთ! გააღეთ! გააღეთ? (კარგად ბრახუნის თანდათან მატულობს და თანდათან ხანის დაძვება).

დონ-იმან. ჩემო ძვირფასო ძმანო! ჩვენ არ ვინოცებით ჩვენი ცოდვა-ბრალის გულისთვის: ჩვენ არავითარი ბოროტი საქმე არ ჩავიდინია, არ დავითხვევია უმანკო სისხლი, არ წარგვიტაცია სხვის ავლა-დიდება, არ დავიშავებია კაცისთვის არასფერი, და არავისთვის არა გვივნია—რა. არ ვიღუპებით ჩვენი ცოდვა-ბრალის გამო, არამედ ჩვენი სიმაართლისა და გულწრფელობისთვის, ჩემო ძვირფასო ძმებო! ნუ თუ მოიპოვება თქვენ შორის

ისეთი კაცი, რომელმაც უარპყოს ალალ-მართლური სიკვდილი და არჩიოს ავაზაკური და მზაკვრული სიცოცხლე?

ყველა შეკრებილნი. ჩვენ ყველანი მზათ ვართ დავიხოცნეთ! ამ ქაზად ჩვენ შორის არც ერთიც არ მოიპოვება, რომ ეშინოდეს სიკვდილისა! სუყველანი მზათ ვართ დავიხოცნეთ ჩვენი ერისა და ღმერთისათვის!

დონ იმან. ჩემო ძვირფასო ძმანო! დავიფიცოთ ყველამ ამ წმინდა დაბადებაზე, რომ უკანასკნელ წუთამდე დავშთებით ერთგულნი ჩვენი ერისა და ღმერთისა. არავითარ წამებას, რაც კი მოიპოვება მთელ ქვეყანაზე, არ ძალუძს უარ გვაყოფინოს ჩვენი ღმერთი და სარწმუნოება. როგორც ებრაელები დავბადებულვართ, ისეც ებრაელებად დავიხოცნოთ!

ყველა შეკრებილნი. ვფიცავთ! ვფიცავთ!

ხმა სცენის ზევიდან. გააღეთ! გააღეთ! (ბრახუნის თანდათან მატულობს).

დონ იმან, ახლა შეგვიძლიან დავიხოცნეთ არხენად. ახლა შეგვიძლიან გული დინჯად და დამშვიდებულად ვიქონიოთ. მაგრამ უკანასკნელ წუთამდეც ნუ დავკარგავთ სასოებას ღვთისადმი. ვინაიდან ჩვენი ღმერთი არის ღმერთი ყოველად შემძლებელი, და შეიძლება უკანასკნელ წუთს, იმ დროს როცა გვგონია, რომ აგერ უკვე დავიღუპებით— შეიძლება სწორედ იმ დროს მოგვევლინოს ხსნა მისი.

ყველა შეკრებილნი. (აღაპურებენ თავლებს და სკელებს ზეტად). ღმერთო ჩვენო და ღმერთო მამათა ჩვენთა! ნუ მიგვატოვებ! (ბეგნი სტირიან. ბრახუნის მატულობს).

დონ იმან. (დიეგოს და კლარას). მომიხშინეთ, შეიღებო! დიდი უბედურობა დაგვატყდა ახლა თავს. მე თქვენ გიამბეთ, რომ მეფის შვილი, რომელიც აჩვენებს თავს მონად, მუდამ საფრთხეშია, რომ არ გაიგონ მისი ვინაობა, ვინაიდან აუცილებელი სიკვდილი მოელის მეთქი. აი, ახლა კიდეც გვეწია ეს უბედურება; ბოროტმა პირებმა გავცვეს და აცნობეს, რომ ებრაელები ვართ. ახლა

თავს დაგვეხსენ შესაპყრობად და დასახოცად ყველა ეს ხალხი, თქვენი მახლობელნი და საყვარელნი დახოცილ იქმნებიან; მე, თქვენი საყვარელი მასწავლებელი, რომელსაც მეც მიყვარხართ, მოკლულ ვიქნები; თქვენი კეთილნი მშობელნი, რომელთაც ასე ძალიან უყვარხართ, დახოცილნი იქმნებიან,—აჰა, ახლა თქვენ მითხარით, ჩემო საყვარელო შვილებო, თქვენ რას არჩევთ: სიკვდილს თქვენს მშობლებსა და საყვარელ მეგობრებთან ერთად, თუ სიცოცხლეს მაგ ავაზაკი ხალხის ხელში, რომელნიც თქვენც ავაზაკებათ გარდაქმნიან?

დიეგო და კლარა. თქვენთან ერთად დავიხოცებით და თავის დღეში-კი არ ვიქმნებით ბოროტნი და ავაზაკნი!

დონ-იმან. აი, საცაა დაგვეხმობიან თავს, ბოროტნი და უღმობელნი, რომელნიც თქვენ კეთილისა და მზიარულ სახეს გაჩვენებენ; და დაგიწყებენ ლაპარაკს, რომ აღასრულოთ ყველა იმათი სურვილი, დაგპირდებიან მთელი ქვეყნის საკეთეს, მხოლოდ იმ პირობით, თუ დაანებებთ ებრაელობას თავს და გარდაქმნებით ბოროტ კაცებად, თქვენ ყურადღებას მიაქცევთ იმათ სიტყვებს?

დიეგო და კლარა. არა, არა, არა!

ხმა სცენის ზევიდან. (შემზარაყად და საშინლად) გააღეთ! გააღეთ!

დონ იმან. რომ გაწამონ ძნელი და აუტანელი წამებით და იძულებულ გყონ დაანებოთ ებრაელობას თავი, — იცით რა უნდა მიუგოთ?

დიეგო და კლარა. „არც დაგთანხმდებით და არც გვსურს!“

დონ იმან. აგრე, აგრე მიუგეთ თუნდაც აგკუწონ, ნაქერ-ნაქერად გაქციონ, წვეთ-წვეთადაც. რომ დაღვარონ თქვენი სისხლი; კი სული გედგათ და შეგეძლოთ ხმის ამოდება—მიამახეთ: „ებრაელებად დავბადებულვართ და ებრაელებადვე დავშთებით უკანასკნელ წუთამდის თქო!“

დიეგო და კლარა. „ებრაელები დავბადებულვართ და ებრაელებივე დავშთებით უკანასკნელ წუთამდღე!“

ხმა სცენის ზევიდან. (მოისმის ხმა ზარ დაძვება და შემძრწუნებელი). გააღეთ! გააღეთ!

გააღეთ! (კარებზე აბრახუნებენ ზედი-ზედ და მძლავრად. მოისმის ნაჯახის ხმა, რომელითაც სჭრიან კარებს, და ფიტრების მტვრევის ხმა).

დონ იმან. (შიაქვს დიეგოს და კლარასთან დაბაღება). დაიფიცეთ!

დიეგო და კლარა. ფიციცავთ!

(მოისმის მძლავრი ჯახუნა. კარები იმსხვრება. გამოქვამულში შემოდის მღვდლები, შეიარაღებულნი ჯარის კაცი და კათოლიკენი მეტწილ ქერუმთაგანნი, ჩამოფარებული აქვთ სახეზე საბურავი, ამათი შესუდულება საშინელი და ზარის დაძვება).

VI

ივანიევი, მღვდელი, ჯარის კაცი და კათოლიკენი.

დონა ლაურა. (მივარდება ქვილეებს, იკრავს გულში და საშინელი გულის შემზარავი ხმით). შვილებო, შვილებო, ჩემო დაღუპულო შვილებო! (გამოქვამულში თანდათან შემოდის. ისმის ხმლების წკრიალი და ბორკილების ჩხარა-ჩხური, ჯარის კაცი სდგებიან წუობად და ხელში უპურით ამოწვდილი ხმლები, რომელთაც გააქვთ პრიალი. მათ იქით სდგანან მღვდლები. რა დინახავენ, რომ ებრაელები თავიანთთვის სდგანან და არც დიდობენ განააღმდეგებას და მათთან ბრძოლას, ნელ-ნელა უახლოვდებიან და ატყეოდებიან. ებრაელები განაგრძობენ გულისანად ღოცავს).

1 მღვდელი. (აგდებით) კარგი ჯგუფია! აი, კარგი და ნადირები, მოხუცო ფრანცისკო. ჩვენ ბადე ვესროლეთ, გვინდოდა ერთი თევზი დაგვეჭირა და ხედავ რა მოზრდილი თევზები მოხვდენ ჩვენს ბადეს. ამისთანა თევზების შეწვა ცეცხლზე ძალიან კარგია. დიხხ, ძალიან კარგი და სასიამოვნო დღესასწაული გვექნება ხვალ! ხა-ხა-ხა! (ივანის საშინელი შემძრწუნებელი ხმით).

ნ. ელიაშვილი—ბენ დავიდ
(დასასრული იქნება)



ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს თ ა ნ ა მ ე დ რ ო ვ ე შ ვ ი ლ ი

პატარა ბიჭი ვაყავი: ვცემდი, ვაგინებდი, ვლანძღავდი ამხანაგებს... იგინი სტიროდენ, მე ვიცინოდი, მიხაროდა: ვსტკებოდი მათის ტანჯვით. მამას სწყინდა, სჯავრობდა, დასჯას მიქადა. მე ყურადღებას არ ვაქცევდი, ბო-ლიშს არ ვიხდიდი, თავს არ ვიმდაბლებდი. ვი-პარავდი ფულებს... ვყიდულობდი საჩუქრებს, მიმქონდა მამას მეგობრებთან... შუამდგომ-ლობდენ, მამა მირიგდებოდა.

გავიზარდე: დავიწყე ქურდობა, მშვიდ-ტიტველთ არ ვიბრალდებდი... ვპარავდი საზრ-დოს... ვჩხუბობდი, კაცს ვკლავდი... მიჩი-ლებდნენ, მსაჯულს ქრთამს ვაძლევდი, მა-ართლებდნენ. სიტრუეზე ვფიცულობდი... თავს ვიშარტებდი... მართალს ბრალს ვდებ-ბდი, ციხეში ვაღობობდი... გაჭირვებულთ ტყავს ვაძრობდი, არავის ვინდობდი.. სიტყვა ჩემი სჭირდა!..

დავუძღურდი -- ექიმებს უძახი... სობერე წამალს არ იკარებს... ღონე მიმდის... სულის ცხონებას შეუდექი... ვიბარებ მღვდლებს, ბე-რებს, ვსაჩუქრებ... შუამდგომლოთ ვგზავნი ღმერთთან... მადლობას მეუბნებიან, მპირდებ-იან ცოდვებიდან ხსნას... ლოცულობენ, ჩემ თავს ღმერთს ავედრებენ...

ჩისთვის იცვლება ადამიანი

(ქართველ მაქსიმეანთა შარის ჩჯარაში ჩაწერილი)

პირველ ყოვლისა ღმერთმა კაცი გააჩინა და უთხრა:

— იცოცხლე ოცდაათ წელს, იმუ-შავე და თავი ირჩინეო. კაცმა მიუგო:

— უფალო, თუ გამაჩინე, ხანიც მომი-მატეო!

ქმერმე ღმერთმა გააჩინა ვირი, იმასაც ღმერ-თმა იგივე უთხრა, რაც კაცს: იცოცხლე, იმუ-შავე და მხოლოდ 30 წელს გასძლებო. ვირმა მიუგო: შენი ნაბრძანები თუ გინდა ათი წე-ლიც იყოსო. მაშინ ღმერთმა ოცი წელი გამოაკლო ვირს და მიუმატა კაცს.


შემდეგ ღმერთმა ძალლი გააჩინა და ძალ-ლისაც იგივე გაუმეორა: იცოცხლე 30 წელი

ვკვდები.. მე არხეინათა ვარ, ჯოჯო-ჩეთის არ მეშინიან.. მოსყიდ-ული მყავს... თავი წმინდანთ მიმაჩნია; თავს სინანულით არ ვიწუხებ, სხვები ეველ-რებიან ჩემს მაგიერ. საუდარში ზარებსა რე-კავენ, ხალხს პარაკლისზე უძახიან... მღვდლე-ბი, ბერები იმოსებიან... ხატებს სანთლებით აჩაებდნენ... ლოცულობენ... ღმერთსა სთხო-ვენ ჩემთა ცოდვათა პატიებას... ხალხს მუ-ხლ-მოყრით ავედრებენ ღმერთს...

შემოსილი მღვდლები, ბერები, ჩემს სხეულს ძვირფას კუბოში სდებენ; „წმინდაო ღმერთოს“ მიმღერიან, გუნდრჯკს მიკმევენ, მიმასვენებენ ეკლესიაში... მნათე ზარებს ატირებს, ხალხს სამგლოვიაროდ იწვევს... ხალხი გარს მეხვევა, ნატრობენ ჩემსავით სი-კვდილს.

დამასვენეს ეკლესიის მაგიდაზე, პანა-შვიდს მიხდიან, მუხლის მოყრით ავედრებენ ჩემს თავს ღმერთს, „წმიდათა თანა განუსვენე უფალოს“ მგალობენ... დაქრთამუ-ლი მყავს, „ქრთამი ჯოჯოხეთსაცანათებსო“, რა მენა დვლება?

კ. მარტვილელი



და წყვეს კაცის ბინაო. ძაღლმა ვირივით მიუ-გო: შენი ნაბრძანები თუ გინდა ათი წელი იყოსო. მაშინ ღმერთმა ოცი წელი მოაკლო ძაღლს და მიუმატა კაცს.

ამ რიგად კაცს პირველი 30 წელი თა-ვისი აქვს და არაფრად აფასებს, ისე უდარ-დელად ცხოვრობს. ამ პირველ თავის ცხოვ-რების ხანაში იგი ცოლს ირთავს და უზბოუნ-ველად ატარებს დროს. შემდეგ გადადის ვი-რის ხანაში, ვირივით მუშაობს და მოსვენება არ აქვს, არავის ეშლება და ცხოვრობს თა-ვისთვის. შემდეგ გადადის ძაღლის ხანაში. მა-შინ ძაღლივით მუშაობას თანდათან უკლებს, იწყებს ძაღლივით ღრენა-ყეფას, არავის ენდო-ბა... ცოლთან და რძალთან ექვიანობს და ყვე-ლას—გარეშეს და შინაურს—ეჩხუბება.

ირ. ურუშაძე



კ. მოსკოვის ქართველ საზ ბის დარბაზში უოჯელ შაბათობით იმართება ხელმე საფასო საღამოები ე. წ "ჩიან". საღამოს მიზანია ხელი შეუწყოს აქ გადმოხვეწილ ქართველებს ერთმანეთში გადნობას. ამ ხატარა საღამოებსე იკითხება ლექსები, მღერაან, უკრავენ: დოღსე, როიაღსე, ტეკვავენ და სხ. წრეუღსაც საღამოები ენკენისთვის 17 ღან დაწყო. ღვინობისთვის 15 გაიმართა მე-35 საღამო (თუარ ვცდებით). ამ საღამოს ქართველ ახალგაზღვრებს უფრო სიმხიარულე ეტუობოდა. დრტობით ვეუღას დაევიწყებია სეუღა ვარამი და საერთო სიმხიარულეს მისტეობდენ. 9 ს. გაიღო დარბაზის კარები და შეშანათა ეკატერინე გაბაშვილის კლასი თამაშეკ წარმოდგენს მკითხველი, როგორი აღფრობანებით მიეგება მას აქაური ქართველი ახალღობა.

ვირველი მისასაღმებელი სიტყვა უთხრა ექ. ზანდუკელმა. მან მოკლე, მაგრამ აზროანი სიტყვით მთელი დარბაზი აახმურა; ტაშის ტემას და ვაშის ძახილს საზღვარი არაქონდა. შემდეგ მიესალმა სტ. ირაკლი ამირაჯობი. მშენიერი ლექსით მიესალმა ახალგაზღვრებსანი ი. მჭედლიშვილი. ეკატერინეს უნდობა და რაღაც ეთქვა, მაგრამ ვეღარ მოახერხა დროოდლე სიტყვით მ გვესალმა; ეტუობოდა აღება ღდა. ეს საღამო სხვა საღამოებსე შინაარსიანდა უფრო მსიარულეც გამოდგა. გ. ტაბიძემ დიდ ტყარნამმა მშენიერი ლექსები წაიკითხესა ღმის 12 ს. ეკატერინე გამოგვემშვიდობა და ხეინდ დაეიშაღენით.

უნდა აღვნიშნო, რომ საღამოები ერთფეროვანი და უშინაარსოა. საჭიროა ტეკვა-სიმღერის გარდა სერიოზულე რამაც მოაწყონ ხელმე.

შანგანი

არმავირში, კვირას, 9/X "ახალ თეატრის" დარბაზში მსახიობ ს. სვიმონიძის მონაწილეობით ადგილობრივმა სტენის მოყვარეებმა წარმოადგინეს "დამნაშავეს ოჯახი" დრამა 5 მქმ. ჯიოკომეტისა (გადმოკეთებული იტალიანურიდან.

მართალია ზიეს შინაარსიანია, შატრამ სხევენარ არ არის, განსაკუთრებით არმავირელებისთვის. ადგილობრივი ქართველების უმრავლესობა იმდენად ა. არის წარმოდგენებს განცობილი და შეჩვეული, როგორც თვით ზიესის შინაარსის გაგება მოითხოვს. აქ უფრო მდებოა გასაგებო ზიესები უნდა იდგებიოდეს, რადგან არმავირის ქართველების უმრავლესობა ძლიერ დაშორებულა წარმოდგენებს. ამ ოქტომბრის 9 წარმოდგენასე დამსწრეთ არც-კი გაუგათ, რას არდგენდენ. წარმოდგენამ მშვენიერ ჩაიარა: ნაკისრ როლებს კარგა ასრულებდე ო. ჩხეიძე (აღათა-პოლიმიერის), როლი რომ უკეთ ქქონოდა შესწავლილი და მეტი დრამატული უნარით დაესურათებინა, უჯობდა. ეს შესამედ გამოდის სტენასე; მ. ლომიძეს (როზალია) როლი შესწავლილი ქქონდა, კარგათაც შესრულა, ხოლო ბოლო მქმედებაში მოისურსტობდა: შინ-სახესე სავსებით არ ეტუობოდა მწეუსრება, კაცი იფოქრებდა, თითქოს უხაროან ქმრის ტანჯვა-სიკვდილით. ს. სარაჯიშვილის ასული (ემმა),—ეს იშვიათი ადამიანი ვირველად გამოდის სტენასე მართლად და არტისტულიად შესრულა თავისი როლი, თითქმის უნაკლებოდ, ხმაც ხელს უწყობს, იმედია მომავლშიც დამშვენებს არმავირის სტენას. ბ. ს. სვიმონიძე (კორნაღო)—ეს მისი საკუთარი როლია და ვეუღამ კარგად უწყის, როგორ შესრულებდა მას. ბ-ნი გ. გორელმა (შინ სენიორ აბატ) როლი იცოდა. უკეთესი იქნუბოდა მეტად არ გაებრტყელებინა სიტყვები, რაც არა ბუნებრივად ხდოდა მის ხმას. ამ უკანასკნელს სერიოზულ როლების შესრულება, ცოტა არ იუვეს, არ ესერხება—მას უფრო "კომიკობა"—მისხრობა შეშენის. ბ-ნ დ გურული (ექიმი არჩიო ზალიმიერ) ეტუობოდა სინქარე თუმცა როლი იცოდა. ამ სტენის მოყვარეს დიქტია არ უკარგა: ვეუღა როლს თავიდან ბოლომდე ერთ კოლოზე ასრულებს. ბ-ნი ი. ბუხელმა (დონ-ფერანდო) გვაროანად შესრულა ნაკისრი როლი, ცოტა მიხვრა მოხვრა ხელს არ უწყობდა. ერთფე გვაროანი იყო ახალგაზღვრი ი. ხალიაშინი. აერთ აღ წარმოდგენამ კარგად ჩაიარა. ხალხიც ნაკლები დაესწრო.

ღვინობისთვის 11 გაიმართა შერეული წარმოდგენა: "სამშობლო" ს უნასკნელი მქმედ-

ბა, და დივერტისმენტი (დექსები და სს) ეს იყო უკანასკნელი წარმოდგენა ბ-ნ ს. სვიმინიძის საბუნებისმეტყველო და კარგათაგ ჩაიარა. წარმოდგენის შემდეგ მიათვლეს საჩუქარი (გერცხლის ჰორტიკონი, ღირებულება 66 მ. ზედ წარწერით (ს. შ. სვიმინიძეს არმავირის ქართველებისაგან 11 ოქტომბერი 1916 წ.) და შესაფერისი სიტყვებიც უთხრეს, რომაც ძველი ტაშის ტუჩა გამოეწვია. ბ. სვიმინიძემ დიდი მადლობა გადაუხადა არმავირის საზოგადოებას ჰატივისცემისთვის. ს. სვიმინიძემ ქ. არმავირში 9 დღის განმავლობაში სამი წარმოდგენა გაშინათა, რისთვისაც არმავირის ქართველები დიდი მადლობელები არიან. ამასთანავე მადლობის ღირსნი არიან ქ-ნ ელენე უაგელაშვილისა და ბ-ნ ალ. უაგელაშვილი (თავმჯდომარეა არმავირის განყოფილების ქ. შ. წ. კ. ს.), რომლებიც თავის ოჯახსაბოთ დიდს დახმარებას უწევენ კულტურულ საქმეს.

მედგარი

წვრილი აგებები

◆ ვალ. ბუნიძე ლოგინიდან წამოდგა, სახლში დადის, საჭირთა სახლი გამოეცვალა,

◆ თ. შოკრდანიას დაკრძალვას მრავალი საზოგადოება დაესწრო. დაკრძალვს დიდუბეში, იქვე რამდენიმე სიტყვა

◆ ძარბაზაძე ჯარისკაცთ მოწინავე პოზიციებზე შურნალი „თეატრი და ცხოვრება“ სამი თვით გაუწერა გიორგი ანდრ. მალრატემ.

◆ შურნალის სასარგებლოდ ქალაქის სიძვირის გამო თ. აფხაზიშვილისაგან მივიღეთ 2 მ.

ძარბაზაძე ხალხთან ახლოვანებას ამ მოკლე ხანში გამოაფენს გამართავს. მხატვ. შავარდნაძე მოხსენებას წავიკითხავს.

◆ ჰინკის სენკევიჩი, პოლონეთის სახელგანთქმული მწერალი—რომანისტი, დამწერი „ცენტლითა და მახვილითა“-სი, „წარღვისი“ და სხ. გარდაიცვალა 4:XI, დაბადებიდან 70 წ.

◆ ძარბაზაძე თეატრის აღმადგენელ კომიტეტის კრება გაიმართება ამ მოკლე ხანში, განზრახულია თეატრის აღსაშენებლად ფულის შეკრებას ახლავე შეუდგენს.

◆ ნ. ბარათაშვილის დაბადების ასის წლის თავის (გიორგობისთვის 22) აღსანიშნავად ქართ. სიტ.კაზ. საზ-ის გამგეობის თაოსნობით გიორგობისთვის 21 დიდუბის გალავანში მგოსნის სამარესთან გადაიხდინა პანაშვიდს, სამარეს შეამკობენ ცოცხალ ყვა-

ვილებით, ხოლო ხალხობრივი გაიმართება ამავე საზ-ის სახეიმო კრება მგოსნის პატივსაცემლად.

◆ „თეატრიკულა ცნობები“ შემდეგი ნომერი (47) სრულიად ეძღვნის ნ. ბარათაშვილის ხსოვნას.

◆ იმ. გომარტიანი, საეროთო ბიუროს დავალებით, გამაღებთ სწერს „რა არის ერობა“; კილს მოთხრობისებურია, შიგა და შიგ კითხვა მიგებით სოფლის მასწავლებელსა და გლეხთა შორის). დაწერილია მდაბიური, ხალხური ენით.

◆ ძარბაზაძე საკულტურო საზ-თა კავშირის კრება შესდგა ღვინობისთვის 29 გადასწყდა მთავარი ყურადღება მიექცეს ჩვენს ეროვნულ-კულტურულ ცხოვრების უმთავრეს საკითხთა გარჩევას, ზოგადი გეგმის შედგენას და სახელმძღვანელო აზრების შემუშავებას. ლ. ბოცვაძემ წავიკითხა მოხსენება „სახალა სკოლა და 7როფსიონალური განათლება“ გიორგობისთვის 6 შედგა გამგეობის კრება. შემდეგი კრები სამეურნეო ბანკში გაიმართება კვირას, 13 გიორგობისთვის საღამო 7 ს. ლ. ბოცვაძის მოხსენების დებულებათა გასარჩევად,

◆ „ახალი კლუბის“ წევრთა საზოგადო კრებამ გიორგობისთვის 6 პ. გოთუას თავმჯდომარეობით, განიხილა კლუბის ნამოქმედარი. კლუბს 1916 წ. 1 იანვრიდან 1 გიორგობისთვის შემოსული ვალი 3ქონია 187000 მ. წმინდა მოგება—53000 მ., შეუძენია კავკასიის საეპრო-სამრეწველო ბანკის აქციები (გალაუხრია 6,000 მ.). იანვრამდე მოსალოდნელია 26000 მ. ზედმეტი ხარჯი. კრებამ დადგინა: ა, დამტოვდეს ზედმეტი ხარჯი, ბ, სასაღილო ოთახი შეეკოდეს, გ, ავდმყოფ მსახიობს პანჯეს მიექცეს—300 მ. დ, კლუბის ბუჰალტერს ა. კორძაიას, რომელსაც სამხედრო სამსახურში იწვევენ, 720 მ. მიექცეს ყურადღება ქართულ მუსიკას.

◆ ბ. ნაზარიანის სალონში გასულ ორ პარასკევს ბ-ნმა კომიკოგმა საყურადღებო მოხსენება წავიკითხა თბილისის სახაზინო თეატრის არსებობის 20 წლის შესრულების შესახებ

◆ დღეს ახალ კლუბში ქართ დრამ. დას. წარმოდგენს „პატარა კახი“.

— აკაკი ხოშთარია, ცნობილია მრეწველმა და ქველმოქმედმა ქუთაისის ქართულ გიმნაზიის საფიზიკო კაბინეტის მოსაწურობად 5000 მ. შესწირა.

◆ კითხა შიფინის პიესები ვილკას წაუღია წასაკითხადა. ავტორი სთხოვს, პიესები დაუბრუნონ, რომ ცალკე გამოცემას შეუდგეს.

◆ სახალხო სახლში ამ მოკლე ხანში გაიმართება მრავალფეროვანი დღეა. შემოსავლის ნაწილი ქართულ თეატრის ასაგებ ფონდის სასარგებლოდ გადაიდება,

— მოწაფეთა მართ ჯგუფს განუზრახავს კვირეული სალიტერატურო შურნალის „ხომლი“ გამოსცეს.

— ხარუების კლუბში ქართ. დრამ. დასმა ხუთ-შაბათს წარმოადგინა „სოფლის ექიმი“ და „მათიკა“. სათეატრო დარბაზი მოხერხებულა, საუცხოვოდ ისმის ხმა და თვით უკანასკნელ რიგიდანაც ისე სჩანს, როგორც პერველი რიგიდან.

— სახალხო სახლში სახ. წარმ. სამშაბათს წარმოადგინა „მსხვერპლი“. დიდძალი ხალხი, განსაკუთრებით მოზარდი თაობა, დაესწრო.

— ქართული გიმნაზიის მშობელთა წრის სასარგებლოდ ს. ი. ბაქრაძის თაოსნობით ქრისტეშ. 7 სააზინო თეატრში წარმოადგენ ვაიმართება.

— ნ. პ. ლოლობერიძის პრემია, 300 მ., წერაკითხვის სახ. გამ. გიორგობისთვის 8 მიანიჭა იუსტინე აბულაძის თხზულების „ვეფხისტყაოსნის“ და „კრიკული ტექსტის“ რამდენიმე ნიმუში.

— ქართ. წერაკითხვის საზ. ბის წლიური კრება გაიმართება ქრისტიანობისთვის 4.

— ბაქოს დრამ. წრის სეზონი კარგად მიდის.

— დ. ხონის მოწინავე პირთა ჯგუფმა მოაწყო წარმოდგენების მართვა შეადგინა დრამატიული წრე, წესდება შემომუშავა და დასამტკიცებლდ გაამზადა.

— ლოტბარი მ. კავსაძე სამხედრო სამსახურში გაიწვიეს.

— ახალგაზრდა მოღვაწე ქალი მ. ა. შავერ-ზაშვილი ამ მოკლე პი ბათუმში კონცერტს მართავს გარბუზოვის ირე წლოვან (7 წ.) ასულის დახმარებით (ვიოლონი). იგივენი მიწვეული არიან განჯაში.

— იპ. ვართაგავამ „ახ. კლ.“ დარბაზში გიორგობისთვის 6 წაიკითხა თვისი ვრცელი მიმოხილვა „მ. მღვიმელის ნაწარმოებნი“ შ. მღვიმელი და ბავშვთა სამყარო“. ლექტორმა მგოსანი შიო დიდი ქებით მოიხსენია. ლექცია მეტად გრძელი აღმოჩნდა (სამ საათზე მეტს კითხულობდა). უშთავრესად მოწაფენი დაესწრენ და ლექტორი მზურვალე ტაშით დააჯილდოვეს. სასურველია რომელსამე გამოცემაში ანუ ცალკე დაიბეჭდებოდეს.

— ყურნალისტი სვით დევდარიანი, ამას წინად ხარკოვში დატუსაღებული, ასტრახანის გუბერნიაში გადასახლეს.

— სახალხო სახლში ორშაბათს ღვინობ. 14, სალიტერატურა დილა ილია ნაკაშიძის მონაწილეობით. 1, ლექცია-ეროვნული საკითხი. 2, შემლილის წერილები, 3, გუერკაალა და შანტაეისტები, 4 დივერტისმენტი.

რ ის საზოგადო კლუბი

დ ავიდა ახალ საზამთრო ბინაზე—მიხეილის პროსპექტი, № 163, „აპალოს“ ზევით.

რ კლ. - გამ. ანნა იმედაშვილისა

ახალი კლუბი 1 კვირის პროგნოზი

13-20 გ. იორგობ.

კვირა—რუსული წარმოდგენა. ბილეთები 50-30 კ.

ორშაბათი—ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-50 კ.

სამშაბათი—სიმფონიური კონცერტი.

ოთხშაბ.—სინემატოგრაფი.

ხუთშაბ.—ქართ. წარმ. ბილეთები 50-30 კაპ.

პარასკ.—ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-30 კ-დე.

შაბ.—სიმფონიური ორკესტრი კონცერტი მ.

ა. ვოლოფი-იზრაელის ხელმძღვან.

კვირა—რუსულ წარმო. ბილეთ. 5-30 კ.

დასაწყისი: კონცერტებისა საღამ. 9 საათ.

წარმოდგენისა და სინემატოგრ. საღ. 8 1/2 სა.

შმსასვლელი ფასი მანდილოსნები 50 კ, მა-

მაკაცინი—1-მან.

კონსერვატორიის პროგრ. ვამზადებ **სტრის აზი**
ილი ოქუხული მი-სა.
 მართი წერილით: Орхевский пер. д. 75



Дозволено Военной Цензурой სტამბა „სოაპანი“